დანართი #8

საქართველოს უნივერსიტეტის

ბიზნესის და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლის სადოქტორო ნაშრომის კვლევის პროტოკოლი

სამეცნიერო/საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) წარმოადგენს დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულ კოლეგიურ ორგანოს, რომლის მიზანიც არის ხელი შეუწყოს დოქტორანტს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესრულებაში.

დოქტორანტის სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს (სკოლის პროფესორი/ასოცირებული პროფესორი, მთავარი/უფროსი მეცნიერი თანამშრომელი მიერ სკოლის საბჭოს წინაშე დოქტორანტურის საკვლევი თემატიკის წარდგენისა და დამტკიცების საფუძველზე) ქმნის ბიზნესის და ადმინისტრირების მეცნიერებათა სკოლა არანაკლებ სამი წევრის შემადგენლობით: დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი და შესაბამისი ან მომიჯნავე (სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით) მიმართულების ორი პროფესორი/ასოცირებული პროფესორი. სკოლის საბჭოს წარდგინებით სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას განიხილავს და ამტკიცებს სკოლის აკადემიური საბჭო.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო:

- ✓ განიხილავს და ამტკიცებს დოქტორანტის საკვალიფიკაციო ნაშრომის სახელწოდებას;
- ✓ განსაზღვრავს (დოქტორანტის ხელმძღვანელთან შეთანხმებით) დოქტორანტის მუშაობის თანმიმდევრობას და გრაფიკს;
- ✓ ახორციელებს სადოქტორო პროგრამით გაწერილი კვლევითი კომპონენტის (სადოქტორო ნაშრომი) მომზადებისა და წარდგენის ეტაპების მონიტორინგს (თითოეული ამ კომპონენტის წარდგენა ხდება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წინაშე), რითაც უზრუნველყოფს დოქტორანტის კვლევის დაგეგმვასა და განხორციელებას ეფექტურად და შედეგიანად;
- ✓ ქმნის შესაძლებლობას დროულად დაკორექტდეს/ აღმოიფხვრას შესაძლო გადაცდომები ან უზუსტობები კვლევის პროცესში, უზრუნველყოფილი იქნას დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობის სწორი ორიენტირება (წარმოდგენილი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად/უარსაყოფად, მოსალოდნელი შედეგების თვალსაზრისით, კვლევის შერჩეული მეთოდების რელევანტურებისა და შედეგიანობის თვალსაზრისით და სხვა);
- ✓ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო ისმენს და რეკომენდაციებს გასცემს (კრედიტების მინიჭების გარეშე) წარმოდგენილ კვლევით კომპონენტებს, მითითებული კრიტერიუმების გათვალისწინებით; რჩევას/რეკომენდაციას აძლევს დოქტორანტს

ცალკეულ ხარვეზებთან მიმართებით და უსახავს გამოსწორების გზებს; ასევე, კონსულტაციას/რეკომენდაციას უწევს დოქტორანტს კვლევის შემდეგ ეტაპთან დაკავშირებით;

- ✓ ეხმარება (კონსულტირების ფორმატში) დოქტორანტს კვლევის სფეროსთვის რელევანტური და მეცნიერულად ღირებული სამეცნიერო ჟურნალის/ჟურნალების შერჩევაში კვლევის შედეგების პუბლიკაციის მიზნით;
- ✓ განიხილავს დოქტორანტის მიერ საერთაშორისო პუბლიკაციისთვის მომზადებულ სტატიას/სტატიებს და აძლევს დოქტორანტს რეკომენდაციას პუბლიკაციისთვის;
- ✓ განიხილავს დოქტორანტის მიერ ხელმძღვანელთან ერთად მომზადებულ წინადადებას/პროექტს კვლევითი ან სხვა სახის სამეცნიერო აქტივობის (კონფერენციაში მონაწილეობა, სამეცნიერო მივლინება და სხვა) დაფინანსებასთან დაკავშირებით და შუამდგომლობით მიმართავს სკოლის საბჭოს.
- ✓ სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო იკრიბება სემესტრში მინიმუმ ერთხელ, მოწვევის გრაფიკი დგინდება ინდივიდუალურად.

კვლევითი კომპონენტის განხორციელება ხდება შემდეგი აუცილებელი ეტაპების დაცვით:

წინასწარი დაცვის ეტაპზე საბჭო ამოწმებს სადოქტორო პროგრამით განსაზღვრული სადისერტაციო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვების წინაპირობების დაკმაყოფილებას და იღებს შემდეგი შინაარსს გადაწყვეტილებას:

- წინაპირობები დაკმაყოფილებულია;
- წინაპირობები არ არის დაკმაყოფილებული.

აღნიშნულ გადაწყვეტილებას საბჭო იღებს დოქტორანტურის დებულების 28-ე მუხლის შესაბამისად.

დადებითი გადაწყვეტილების მისაღებად დოქტორანტს სადოქტორო პროგრამაზე სწავლის პერიოდში მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული შესაბამის საკვლევ თემატიკასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სტატია/პუბლიკაცია, ჩატარებული ჰქონდეს არანაკლებ 2 სამეცნიერო სემინარი უნივერსიტეტის შესაბამის აკადემიურ პერსონალთან და მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა ჰქონდეს მიღებული არანაკლებ 1 კონფერენციაში. მინიმუმ.

სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით შესრულების მიზნით, საბჭო დოქტორანტს აძლევს გაწეული კვლევის შესაბამისი ეტაპის რეკომენდაციებს. რეკომენდაციები გაიცემა თითოეული ეტაპისთვის დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით.

კვლევითი კომპონენტები და მათი შეფასების კრიტერიუმები:

კოლოქვიუმი I

I კოლოქვიუმი მიზნად ისახავს საკვლევი პრობლემის აქტუალობის შესახებ მოძიებული სპეციალური ლიტერატურის სისრულისა და შესაბამისობის, კვლევის განხორციელებისთვის შერჩეული თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების ადეკვატურობისა და საკვლევი მასალის სტრუქტურული ორგანიზების მართებულობის შეფასებას.

კოლოქვიუმი უნდა მოიცავდეს: შესავალი (პრობლემის განსაზღვრა, კველევითი კითხვები, ჰიპოთეზა ანდა მიზნ(ებ)ი და ამოცან(ებ)ი. კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები, არსებული ლიტერატურის და შეხდეულების მიმოხილვა, ჩასატარებელი კვლევის კითხვარების წინასწარ მონახაზს.

I კოლოქვიუმის მოცულობა მინიმუმ 7000 (შვიდი ათასი) სიტყვას.

აღნიშნულ ეტაპზე საბჭოს რეკომენდაციები ითვალისწინებს შემდეგ ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს:

ინდიკატორი	კრიტერიუმი
I. შერჩეული ლიტერატურის სისრულე და შესაბამისობა	შერჩეული ლიტერატურა არის საკმარისი და რელევანტური კვლევის მიმდინარე ეტაპისთვის
II. საკვლევი მასალის სტრუქტურული ორგანიზება	კვლევის მიმდინარე ეტაპისთვის შემოთავაზებული სტრუქტურა ნათლად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფს საკვლევი საგნის სრულფასოვან განხილვას და კვლევის შედეგების სათანადოდ წარმოჩენას
III. კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომების ადეკვატურობა	კვლევის თეორიული საფუძვლები და მეთოდოლოგიური მიდგომები სრულფასოვნად არის განხილული, შეფასებული და ნათლად წარმოჩენილი უპირატესობები მოცემული კვლევის ჭრილში. უზრუნველყოფს კვლევის საგნის ირგვლივ მაქსიმალური ინფორმაციის შეგროვებას და იძლევა ეფექტური და სანდო გზით მონაცემების/ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების საშუალებას

წინასწარი განაცხადი

წინასწარი განაცხადი მიზნად ისახავს საკვლევი პრობლემის ირგვლივ არსებული ინფორმაციის სინთეზირების პროცესის ჩვენებას, საჭიროების შემთხვევაში თემასთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვის დახვეწას, შერჩეული მეთოდოლოგიის ვალიდურობის შეფასებას და სადოქტორო ნაშრომის შემოთავაზებული სტრუქტურის შემდგომ დახვეწას.

წინასწარი განაცხადი უნდა მოიცავდეს: შესავალი (პრობლემის განსაზღვრა, კველევითი კითხვები, ჰიპოთეზა ანდა მიზნ(ებ)ი და ამოცან(ებ)ი. კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები, არსებული ლიტერატურის და შეხდეულების მიმოხილვა, ჩასატარებელი კვლევის კითხვარებს.

წინასწარი განაცხადის მოცულობა უნდა იყოს მინიმუმ 12 000 (თორმეტი ათასი) სიტყვას.

აღნიშნულ ეტაპზე საბჭოს რეკომენდაციები ითვალისწინებს შემდეგ ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს:

ინდიკატორი	კრიტერიუმი
I. არსებული ინფორმაციის სინთეზირების პროცესი	წარმოდგენილია ნათლად და ლოგიკურად, ხდება საკვლევი მიზნ(ებ)ის შესაბამისად და უზრუნველყოფს მოგროვებული ინფორმაციის, როგორც შინაარსობრივ, ასევე, ლოგიკურ დაკავშირებას.
II. შერჩეული მეთოდოლოგიის ვალიდურობა	კვლევის მეთოდები უზრუნველყოფს კვლევის საგნის ირგვლივ სრული და სანდო ინფორმაციის შეგროვებას, დასახული მიზნებიდან გამომდინარე ინფორმაციის კომპლექსურ ანალიზს
III. სადოქტორო ნაშრომის შემოთავაზებული სტრუქტურა	სტრუქტურა ნათლად არის ორგანიზებული და უზრუნველყოფს საკვლევი საგნის სრულფასოვან განხილვას და კვლევის შედეგების ლოგიკურად და ნათლად წარმოჩენას

კოლოქვიუმი II

II კოლოქვიუმი მიზნად ისახავს სადისერტაციო ნაშრომის ფორმატში შეგროვებული ინფორმაციის ანალიტიკური დამუშავებისა და სინთეზის სისრულის წარმოჩენას, წარმოდგენილი საკვლევი პრობლემის ან კვლევის ამოცანის შესახებ მიღებული მონაცემების ვალიდურობისა და კვლევის ფარგლებში გენერირებული ახალი ცოდნის მეცნიერული ღირებულების შეფასებას.

II კოლოქვიუმი უნდა მოიცავდეს: შესავალი (პრობლემის განსაზღვრა, კველევითი კითხვები, ჰიპოთეზა ანდა მიზნ(ებ)ი და ამოცან(ებ)ი. კვლევის მეთოდოლოგია და მოსალოდნელი შედეგები, არსებული ლიტერატურის და შეხედულების მიმოხილვა, ჩატარებული კვლევების პირველად მონაცემებს და სავარუდო მიგნებებს.

II კოლოქვიუმის მოცულობა მინიმუმ 18 000 (თვრამეტი ათასი) სიტყვას.

აღნიშნულ ეტაპზე საბჭოს რეკომენდაციები ითვალისწინებს შემდეგ ინდიკატორებსა და კრიტერიუმებს:

ინდიკატორი	კრიტერიუმი
I. კვლევის პროცესში შეგროვებული მონაცემების დამუშავებისა და სინთეზის სისრულე	კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები შეიცავს სამეცნიერო სიახლეს და ხასიათდება რაციონალურობით, ობიექტურობით, სისტემურობითა და არაწინააღმდეგობრიობით
II. მიღებული შედეგების ვალიდურობისა და გენერირებული ახალი ცოდნის მეცნიერული ღირებულება	კვლევის ფარგლებში მიღებულ შედეგებს გააჩნია მაღალი ანალიტიკური და ლოგიკური ვალიდურობის ხარისხი. ნაშრომის ფარგლებში გენერირებული ახალი ცოდნა შემოწმებად, დადასტურებადია და გააჩნია მაღალი

	მეცნიერული ღირებულება თეორიული ან ემპირიული თვალსაზრისით.

ბიზნესის ადმინისტრირებაში სადოქტორო ნაშრომის მოთხოვნები

ნაშრომი უნდა იყოს არა უმცირეს 25 000(ოცდახუთი ათასი) და არა უმეტეს 40000 (ორმოციათასი) სიტყვისა დანართებისა და გამოყენებული ლიტერატურის გარეშე.

საბოლოო ნაშრომში უნდა იყოს გამოყენებული მინიმუმ 70 სამეცნიერო წყარო.

ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ საკვალიფიკაციო ნაშრომისათვის დაწესებული მოთხოვნების მოთხოვნების შესაბამისად, APA-სტილის მიხედვით.

ნაშრომის გაფორმების წესი

მოკლე მიმოხილვა (არა უმცირესს 200 სიტყვისა და არა უმეტეს 400 სიტყვისა, ეს არის რეზიუმე იმისა თუ რა არის გაკეთებული და რა შედეგზეა გასული ნაშრომი)

ნაშრომში მოცემული ცხრილების, ნახატების და ილუსტრაციების ჩამონათვალი (მათი არსებობის შემთხვევაში)
ნაშრომში გამოყენებული შემოკლებების ჩამონათვალი (არასავალდებულო)
ნაშრომში გამოყენებული სიმბოლოების ჩამონათვალი (არასავალდებულო)

შესავალი (პრობლემის განსაზღვრა, კველევითი კითხვები, ჰიპოთეზა ანდა მიზნ(ებ)ი და ამოცან(ებ)ი. კვლევის მეთოდოლოგია და ნაშრომის სტრუქტურის მიმოხილვა)

თავი 1 (თავის სათაური)

1.1. (ქვეთავის სათაური)

1.2. (ქვეთავის სათაური)

და ა.შ.

თავი 2 (თავის სათაური)

2.1. (ქვეთავის სათაური)

2.2. (ქვეთავის სათაური)

და ა.შ.

თავი 3. (თავის სათაური)

3.1. (ქვეთავის სათაური)

3.2. (ქვეთავის სათაური)

და ა.შ.

დასკვნები და რეკომენდაციები

დანართები:

კითხვარი #1

ცხრილი, კანონი და სხვ.

გამოყებუნილი ლიტერატურა